მოწმდება თუ არა ხელმოწერების ნამდვილობა?

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი წარდგენიდან 2 კვირის ვადაში ამოწმებს ხელმოწერების ნამდვილობას და შედეგებს წარუდგენს ბიუროს უახლოეს სხდომას.

საკანონმდებლო ინიციატივიდან კანონამდე

ინიციატივა უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ დასკვნასთან ერთად გადაეცემა ბიუროს

ბიურო კანონპროექტს გადასცემს წამყვან კომიტეტს, სხვა კომიტეტებს, დამოუკიდებელ დეპუტატებს, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს, აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს

ინიციატივა უმაღლეს საბჭოში განიხილება სამი მოსმენით

კენჭისყრის შემდეგ კანონს ხელს აწერს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე

კანონი ქვეყნდება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე

ჩაერთე უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში პორტალზე:

chaerte.sca.ge

მისამართი:

ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N 37

ტელ: (+995 322) 28 54 48 / (+995 322) 28 54 89

contact@sca.ge

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

საკანონმდებლო ინიციატივა

ევროკავშირი საქართველოსთვის

Project funded by the European Union

IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

UNDP

ეს პუბლიკაცია მომზადებულია აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ, ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მხარდაჭერით და, შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს მათ შეხედულებებს.

საკანონმდებლო ინიციატივა არის საკანონმდებლო პროცესის ნაწილი, რომელიც გულისხმობს კანონ-პროექტის მომზადებას და უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენას.

ვის შეუძლია ინიციატივის წარდგენა?

- აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს
- უმაღლესი საბჭოს წევრს
- უმაღლესი საბჭოს კომიტეტს
- უმაღლესი საბჭოს ფრაქციას
- აჭარის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ არანაკლებ **2000** ამომრჩეველს

როგორ წარადგენენ ამომრჩევლები საკანონმდებლო ინიციატივას?

- იქმნება არანაკლებ 5 წევრიანი საინიციატივო ჯგუფი
- საინიციატივო ჯგუფი მიმართავს უმაღლეს საბჭოს განცხადებით რეგისტრაციაში გატარების შესახებ
- განცხადებას თან უნდა ერთვოდეს კანონპროექტი და საინიციატივო ჯგუფის წევრთა მონაცემები:

  - სახელი და გვარი
  - დაბადების თარიღი
  - მისამართი
  - პირადი ნომერი
  - საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წევრი, კომიტეტი ან ფრაქცია წარადგენს.

მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე წარადგენს უმაღლეს საბჭოში განსახილველად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის, მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და კანონის პროექტებს საქმიანობის წესის შესახებ

როგორ რეგისტრირდება ინიციატივა?

1. განცხადება, კანონპროექტი და საინიციატივო ჯგუფის მონაცემები წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს უახლოეს სხდომას
2. აღნიშნულ მასალებს უმაღლესი საბჭოს ბიურო გადასცემს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს
3. კომიტეტი 5 დღის ვადაში არეგისტრირებს საინიციატივო ჯგუფს (გადასცემს სარეგისტრაციო მოწმობას)
4. განცხადება და კანონპროექტი ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე

როგორ გროვდება მხარდამჭერთა ხელმოწერები?

მხარდამჭერთა ხელმოწერები გროვდება სპეციალურად დადგენილი ფორმის - ხელმოწერების ფურცლის შევსებით.

ხელმოწერების ფურცელზე დატანილია შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი, დაბადების წელი, თვე და რიცხვი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ხელმოწერის თარიღი და ხელმოწერა.

თითოეულ ფურცელზე ხელს აწერს არაუმეტეს 50 ამომრჩევლისა, რომელსაც ნოტარიულად დამოწმებული წესით ხელმოწერით ადასტურებს ხელმოწერათა შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი.

რა ვადაში უნდა წარვადგინოთ ხელმოწერები?

არანაკლებ 2000 ამომრჩევლის მიერ ხელმოწერილი ფურცლების წარდგენის ვადაა საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციიდან 45 დღე.

აღნიშნული დოკუმენტები გადაეცემა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს.